№ 67 9 თიბათვე, ხუთშაბათი 1866—1877 9 თიბათვე, ხუთშაბათი № 67

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ოცდ ასებით სასოზე—1 კაპ., ასო მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცალეროთი—5 კაპ., ჰატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გააასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

უმოწრჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ ხელის-მოწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ სრულად არ შემოუტანიათ, გამოგზავნონ რედაქციაში.

ვინც ივნისის განმავალობაში მთელი წლის ფულს არ წარმოადგენს, 1 ივლისიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ამ თხოვნას ვუმეორებთ აგრეთვე იმ ჩვენს აგენტებსაც, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მოწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ.

ტელეგრამები

პარიჟი, ოთხშაბათს, 6 ივნისს. ნაციონალური კრების დღევანდელს სხდომაში გარეშე საქმეთა მინისტრმა დეკაზმა, ბამბეტტას სიტყვის პასუხად, სთქვა, რომ საფრანგეთს ამ ჟამად ჩინებული, მეგობრული განწყობილება აქვს უცხო ქვეყნებთანო.

სენატმა აირჩია ცხრა კაცისაგან კომისია, რომელსაც მიანდო პრეზიდენტის წინადადებაზე, ნაციონალური კრების შესახებ, პროექტის შედგენა და წარმოდგენა. კომისიის ცხრა წევრში სამი წინაალმდეგნი არიან კრების დათხოვნისა. კომისია თავის ჰაზრს ხვალ ან ზეგ წარუდგენს სენატსა.

პარიჟი, სამშაბათს, 7 ივნისს. ჩერნოგორიელები ძალიან გაჭირებულ მდგომარეობაში არიან, რადგან სამის მხრით მოადგა იმათ ქვეყანას 70,000 (?) კაცი ოსმალოს ჯარი. ჩერნოგორიის ჯარი იძულებული შეიქნა დუჟის გასავალი დაეტოვებინა და ოსტროგში ბანაკდებიან.

ომის ამბები

„ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო"

„მოსკოვის უწყებები" ერთი უკეთესთაგანი წარმომადგენელია ნამდვილის რუსეთის ჰაზრისა, სურვილისა და მიმართულებისა. თავის შეხედულობითა და მოსაზრებით რომელსამე შემოსაღებ რეფორმებზე და მმართებლობის განკარგულებებზე, დიდს შემწეობას აძლევდა და აძლევს ეს გაზეთი დღესაც რუსეთის მმართებლობას.

ამიტომაც, როდესაც ჩვენს გაზეთში რუსეთზე რამე სათქმელი გვაქვს, ან რუსეთის ცხოვრებიდამ რამე ცნობა უნდა ამოვიღოთ, უმთავრესად ატკოვის გაზეთით ვსარგებლობთ, და ამაში არავინ არ უნდა დაგვძრახოს, თუ კი მხედველობაში ზემო-გამოთქმულს გარემოებას მიიღებენ.

რომ მართლა „მოსკოვის უწყებებს" ამისთანა მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ამაში ყველაზე უფრო ამ გაზეთის დღეს მიღებული (1 ივნისის) ნომრის მოწინავე სტატია გვარწმუნებს, რომლიდამაც ძრიელ აშკარად სჩანს, რომ რუსეთი ამ ომით თავის უიმისოთაც ერცელის და „თვალ-უწვდენელის" ტერიტორიის შემატებაზე და გაგანიერებაზე იმდენათ უარს არ იქნება. ეს მოწინავე სტატია იმდენათ შესანიშნავია, რომ საჭიროდ დავინახეთ აქედამ რამდენიმე ადგილი ჩვენს მკითხველებსაც წავაკითხოთ.

მოგეხსენებათ, რომ შარშან ოქტომბერში, ინგლისის ელჩითან ლაპარაკის დროს, ხელმწიფე იმპერატორმა სხვათა შორის ის აზრიც წარმოსთქვა „აღმოსავლეთის კითხვის" დაბოლოების შესახებ, რომ „რუსეთის პოლიტიკა სრულებით არ ეძიებს თავის სახელმწიფოს ტერიტორიის შემატებას, რომ მას მხოლოდ ოსმალელ ქრისტიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობა აქვს სახეში და სხვ....

ამ უმაღლესად გამოთქმულის ჰაზრის შესახებ, რომელსაც დღეს სამზღვარ გარეთის გაზეთები ხშირათ იმეორებენ, „მოსკოვის უწყებები" თავის ზემოხსენებულს მოწინავე სტატიაში ამბობს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მაშინ ეს სიტყვები იმ მოსაზრებით წარმოსთქვაო, რომ მას ეგონა, უმთავრეს სახელმწიფოების დახმარებით, სისრულეში მოიყვანდა იმ საქმეს, რომლისადმი კაცთმოყვარეობითი გრძნობა და ევროპის ცივილიზაცია უნდა ილტვოდესო (ოსმალოს ქრისტიანების დახსნა).

„მაშინ მართლა ეს მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორის სიტყვებს! მაგრამ სამზღვარ გარეთის გაზეთები თუ წარსულს იგონებენ, რატომ იმასაც არ მოიგონებენ, თუ ინგლისმა როგორის თვალით შეხედა ამ აიტყვებს? ინგლისის პირველი მინისტრი არ იყო, რომ დახმარების მაგიერ რუსეთს ომით მუქარა დაუწყო? და ამის შემდეგი მოქმედება ინგლისის მართებლობისა ხომ ყველას იმაში არწმუნებდა, რომ მას ძრიელ გული ჰსურდა, რომ რუსეთს ომი დაეწყო! ეს სურვილი აუსრულდა კიდეც ინგლისს და ეხლა, როდესაც ომი დაწყებულია, ვის შეუძლიან სთქვას, რომ ეს ომი ჩვენ იმაზე უფრო მეტს არ მოგვანდომებს, რაზედაც აქამდისინ ვკმაყოფილდებოდით? ვის შეუძლიან დაგვარწმუნოს, რომ ის, რაც ჩვენ გუშინ არ გვანდოდა, დღეს აუცილებელ საჭიროებად არ შეგვექნა?"

ამას წინათ ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ამ ომის შემდეგ მორიგების პირობებში, რომელზედაც რუსეთს ვითომც მოლაპარაკება აქვს დღეს ინგლისის მართებლობასთან, გრაფ შუვალოვს განუცხადებია, რომ რუსეთი სტამბოლს მხოლოდ იმ განზრახვით დაიჭერს დროებითო, რომ ოსმალეთის მმართებლობას ძალა-უნებურათ მოაწერინოს ხელი ამ პირობებზე, რომლებსაც მას უმთავრესი სახელმწიფოები მოსთხოვენ. ჩვენ არ ვიცით—რამდენათ მართალია ეს მოთხოვნილება, მაგრამ რაც უნდა იყოს „მოსკოვის უწყებებს" ეს მაინც არ აკმაყოფილებს. მას მოჰყავს ინგლისური გაზეთის „Daily News"-ის შემდეგი სიტყვები:

„პორტა, კიდევ სადმე დამარცხების შემდეგ, იძულებული იქნება ინგლისისა და ავსტრიის შუამდგომლობას მიჰმართოს. მაგრამ ეს ორი სახელმწიფო ეხლა უფრო იმაზე ჰფიქრობენ, რომ თავათაც როგორმე და რამე ჩამოჰრჩნენ ოსმალოს დაშლილს და დახრწნილს გვასს, ვინემ რომ ამ გვამს არწიეი (რუსეთი) მოაშორონ." და შემდეგ თავათ ამბობს: „ველაფრიდამ სჩანს, რომ ინგლისს და ავსტრიას ასეთი განზრახვა აქვსთ. და თუმც ავსტრიას ჯერ არ ამოურჩევია—თუ რომელი პროვინციის შემოერთება მოუხდება ოსმალეთისა, მაგრამ მაგიერად ინგლისმა თავისთვის ეგვიპტე სუეცის არხით და თითქმის მთელი ქანდია და-

ინიშნა. თუ ეს ასე მოხდა, თუ ინგლისი მთელს ხმელთა-შუა-ზღვას დაეპატრონა და ზედ ცხვირის წინ ჩამოგვესახლა, მაშინ რა გასაკვირველი იქნება, რომ რუსეთმაც თავისთვის დარდანელზე და ბოსფორზე იქონიოს თვალი და თავის ინტერესები ამ ადგილებზე ფეხის მოდგმით დაიცოს?“

რასაკვირველია, რომ „გასაკვირველი“ არ იქნება, რუსეთმა თავის თავიც არ დაივიწყოს ამ საზოგადო განაწილებაში... ეს რა დასაძრახისი იქნება, მაგრამ ყველანი მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ომში რუსეთს, ოსმალოსაგან ქრისტიანების გასანთავისუფლებლად, „წითელი ჯვარი“ მიუძღვის წინ....

„ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო.“

ამბობენ, რომ რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება ოსმალეთთან მორიგებაზე მოლაპარაკებას, როდესაც იმის ჯარები დუნაიზე გადავლენ და რუსჩუკის ციხე-ქალაქს დაიჭერენ. ახლა ნაირი ამბები ისმის უცხო ქვეყნის გაზეთებში იმ პირობების თაობაზე, რომელსაც მოითხოვს რუსეთი ოსმალეთისაგან, თუ მართლა ჩამოვარდა ლაპარაკი მორიგებაზე; სხვათა შორის, ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ რუსეთის მორიგების პირობებში სამი უმთავრესი მუხლი იქნებაო:

1) ოსმალეთმა თავის სლავიანებსა და სხვა ქრისტიანებს უნდა მიანიჭოს სრული ავტონომია (საკუთარი გამგეობა);

2) ბოლგარიას უნდა მიენიჭოს აგრეთვე სრული თავისუფლება და ამისაგან შესდგეს ცალკე, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ყოველ წლივ მხოლოთ ხარჯს აძლევდეს ოსმალეთს, და

3) რუმინიას უნდა დაუთმოს დობრუჯა და ბარნა და სრულიად გაანთავისუფლოს თავის დამოკიდებულებისაგან.

—

მეორე პარიჟელი გაზეთი გვაცნობებს, ვითომ ლორდ ბიკონსფილდს ეთქვას, რომ სტამბოლის დაჭერა რუსეთის ჯარისაგან, სომხეთის დათმობა და ბოსფორში თავისუფლად ხომალდების გასვლა-გამოსვლის უფლება—ისეთი საგნებია, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლება, თუ ამაზე მთელი ევროპა და განსაკუთრებით ინგლისი არ დათანხმდაო, რადგან ეს საგნები ყველა სახელმწიფოებს შეეხებაო.

—

ლონდონ დუნაიზე ოსმალეთს სრულებით არ ჰყოლია იმდენი ჯარი, რომ შესძლებოდა ციხეების მოშორება და თავისუფლად ბრძოლის ველზედ გამოყვანა. ლეს ამისთანა არმია ჰყავს იმას—შუმლაში, სადაც ამ ახლო ხანში 90,000 ჯარი ჰყავს; ამ ჯარიდამ 25,000 კაცი თვითონ ციხის გარნიზონს შეადგენს და დანარჩენი 65,000 კაცი ოსმალეთს შეუძლიან ბრძოლის ველზე გამოიყვანოს რუსების წინააღმდეგ, თუ ისინი დუნაიზე გადავლენ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამაზე მეტი ჯარი ერთს ალაგას არც რუსეთს ეყოლება, მაშინ ცხადათ დავინახავთ, რომ რუსეთი და ოსმალეთი აქ თითქმის ერთნაირის სამხედრო ძალით შეეტაკებიან ერთმანეთს.

—

პეტერბურღისა და მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილია კავკასიის ჯარის შტაბის უფროსისაგან გაგზავნილი დეპეშა, რომ მუხთარ-ფაშას ახალი ჯარი 20 ბათალიონი მოუვიდა ტრაპიზონიდამაო.

—

ლონდონის გაზეთებში იწერებიან, რომ როგორც არზრუმიდამ მოსულის ამბებიდამ სჩანს, მცირე აზიაში ოსმალოების საქმე სრულებით ისე ცუდათ არ მიდის, როგორც ლაპარაკობენო. მცირე აზიის არმიის მთავარ-სარდალს მუხთარ-ფაშას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია იმედიო, რომ ის არზრუმს იქით არ გაუშვებს რუსის ჯარს და ამ ქალაქსა და უარსსაც ისე ადვილად არ დაუთმობს რუსებს, როგორც ლაპარაკობენო. მცირე აზიის არმიის მთავარ-სარდალს მუხთარ-ფაშას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია იმედიო, რომ ის არზრუმს იქით არ გაუშვებს რუსის ჯარს და ამ ქალაქსა და უარსსაც ისე ადვილად არ დაუთმობს რუსებს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათო. არზრუმის ასაღებად რუსებმა უეჭველად ზევინის მთებზე უნდა გაიყვანონ თავის ჯარი და აქ ამ ჟამად მუხთარ-ფაშას ისეთნაირად აქვს გამაგრებული ყველა გზები, რომ ძალიან გაუჭირდებათ გასვლაო.

—

ზოგიერთს ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული ამბავი, რომ კავკასიაში აქედამ რამდენიმე ბათალიონი ახალი ჯარი გაიგზავნა კიდეეაო.

ამავე გაზეთებში იწერებიან, რომ არტაანის დათმობისათვის მმართველობამ რამდენიმე აფიცერი დახვრიტაო.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ პალატისაგან ამორჩეულმა კომისსიამ გადაწყვიტა ხუთი მილიონის სესხი; სამი მილიონი შეიკრიფება ერთი-ორათ დაწესებულ ხარჯით სახელმწიფო მამულებზე და ორი მილიონიც სამსახურის კაცების ჯამაგირიდამ.

—

იქიდამვე სწერენ ერთს ფრანცუზულ გაზეთში, რომ რუსებმა განიზრახესო გადასვლა ნიკოპოლის და სისტოვის შუა დუნაიზე, მაგრამ ოსმალოებმა დაუშალესო. 1829 წ. 9 ივნისს აქვე დაეპატრეს რუსებმა გადასვლა დუნაიზე და ეხლაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ამ ადგილებინათ 9 ივნისს თავანთ ჯარი გაეგზავნა.

—

შავი ზღვის ნაპირებიდამ იწერებიან, რომ რუსები ცდილობენო გამაგრდნენ ბათუმის გარშემო, ისინი ფიქრობენ ბათუმზე მოსვლას ერთი მხრით ჭოროხ-ულეთიდამ და მდ. ქინტრიშიდან, საცა გაიკვლიეს გზები, დასდგეს ხიდები, და მეორე მხრით ართაანიდამ, საიდამაც მოსულან ართანუჯამდინ და მდ. ჩოროხის გარეშე სიმაღლეებით მიადგნენ ბათუმს აღმოსავლეთის მხრითო.

—

ერთს ინგლისურს გაზეთში სწერენ, რომ რუსები ფიქრობენ არათუ მარტო ბოლგარიის დაჭერას, მაგრამ სამი წელიწადი მაინც ადრიანოპოლის ვილაიეტში (სანჯახში) დარჩენასო.

—

ვენიდამ იწერებიან, რომ არზრუმში ოსმალოს გარნიზონს და მცხოვრებთ, რომელიც შესდგება 60,000 კაცისაგან, დააკლდებათ სარჩო და ამის გამო ვერ გაუმაგრდებიან რუსებსო. იმ დღეს, რა დღესაც არზრუმში შევა რუსეთის დროშა, ოსმალებმა უნდა ხელი აიღონ მთელის სომხეთისგანო.

—

სტამბოლიდამ იწერებიან დაწერილებით ამბებს ჩერნოგორიელებს და ოსმალების შეტაკებაზე:

ჩერნოგორიელებს სამის მხრით დაეცა ოსმალოს ჯარი: ერთი მხრით მიადგა იმათ სულეიმან-ფაშა თავის ჯარით, რომელსაც ეჭირა ველიორლატსადა ქრისტაშს შუა. ფიცხელი შეტაკების შემდეგ, აქ ჩერნოგორიელები ყველა ადგილზე იყვნენ დამარცხებული და სიმაგრე ქრისტაში, შემდეგ იზბსოპიც დაიჭირეს ოსმალებმა.

მეორე მხრით ალი-საიბ-ფაშამ, სკუტარის ჯარის წინამძღოლელმა, თავის მხრით დაიპყრო დაუნგრეველათ რამდენიმე შესანიშნაი სიმაგრეები. ამ დროსვე ბრიგადის ღენერალმა ჰაჯი-ჰუსეინ-ფაშამ დაამარცხა ისინი სამს ადგილას.

—

ჩერნოგორიის ბრძოლის ველიდამვე მაჰმედ-ალი-ფაშა იწერება, რომ დაამარცხა ჩერნოგორიელები და ოსმალოების სალდათებმა დაიპყრეს ავეიკ-ბალა ერთი საათის სავალზე ჩერნოგორიაში. ამ შეტაკებაში ბევრი ზიანი მივეცით ჩერნოგორიელებსაო. ჩერნოგორიელებმა მოჰკვეთეს თავი ერთ ქრისტიანის 11 წლის ყმაწვილს და ორს დედაკაცსო; ამას გარდა სამს მცხოვრებელს მოსჭრეს ცხვირები, ხელები და ტუჩები.

—

ინგლისურს გაზეთს „Daily News“ 25 მაისს სწერენ ბრაილოვიდამ: ამბობენ, რომ ხელმწიფე იმპერატორი, რომელიც დღეს აქეთკენ ბრძანდება, დიდს ხანს არ დარჩება პლოეშტშიო. იმის მობრძანების განზრახვა არისო, რომ დაესწროს რუსის არმიის ლუნაიზე გარდასვლას, რომლის შემდეგ ის ისევ დაბრუნდება რუსეთშიო.

—

ახმედ-მუხთარ-ფაშას, გაუგზავნია ქალალდი სტამბოლში, რომელშიაც მას დაწვრილებით აუწერია მიზეზი რუსებისაგან არტაანის აღებისა. ამ წერილში ის სხვათა შორის ამბობს, რომ არტაანის აღების მიზეზი რუსეთის ჯარის ოსმალოს ჯარზე ერთი ორათ უმეტესობა იყოვო.

—

ვენის გაზეთში „ჰრესსში“ 24 მაისს სტამბოლიდამ იწერებიან, რომ მუხთარ-ფაშასა და აბდულ-ქერიმს შუა მუდამ გაცხარებული მიწერ-მოწერა არისო, მუხთარ-ფაშა ერთს ნაბიჯს არ გადაადგამსო, რომ არ დაეკითხოს აბდულ-ქერიმსაო. სხვათა შორის, მუხთარს მიუწერია, რომ ის არ ფიქროს არზრუმიდამ გასელას და რომ თავათ ქალაქთან ეპირება მტრის დახვედრას. არზრუმის განრიზონში ამ ჟამათ 8 ბატალიონი რეგულიარული ჯარი და ერთი ბატალიონიც ჩერქეზებისა ირიცხებაო. 114 ჩვეულებრივი და 28 კრუპპის ზარბაზნებით. ბარნიზონს სურსათი ოთხს თვეს ძრიელ კარგათ ეყოფაო.

—

რუსულს გაზ. „რუსკი მირს“ სწერენ პლოეშტიდამ, რომ აქ ჯარებში საშინლად გამრავლდნენ შპიონებიო. ლუნაის ნაპირა ქალაქებში დაეხეტებიან ძრიელ საეჭვო პირებიო. ბევრს ამათგანს ეტყობათ, რომ ისინი სხვა და სხვა ცნობებს ჰკრეფენ ოსმალოს ჯარების უფროსებისათვის გარდასაცემათ. ყველა ეს საეჭვო პირები ოსმალოდამ გამოსულები—ურიები, ციგნები და სომხები არიანო.

—

რუსულს გაზ. „ახალს დროებას“ სწერენ სტამბოლიდამ, რომ ინგლისელი ლენ. ქემპბალი ეხლა არზრუმში იმყოფებაო. გარდა ამისა 19 ინგლისელი აფიცრები, მცირე აზიიდამ დაბრუნებულები, ბოლგარიისაკენ გამგზავრებულან. ოსმალოს განზრახვა აქვს ბოლგარიასა და სტამბოლს შუა სადმე ციხე ააგოს.

—

ავსტრიის იმპერიასთან მყოფს ოსმალოს ელჩს თავის ადგილიდამ დათხოვნის ქალალდი შეუტანია, მაგრამ მმართებლობას არ მიუღია.

—

„მოსკოვის უწყებებში“ სტამბოლიდამ, 31 მაისს, დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ მცირე აზიაში ოსმალოს არმიის უმთავრესს სარდლად მუხთარ-ფაშის მაგიერ დერვიშ-ფაშა დაუნიშნავთ.

„დროების“ კორრესპონდენცია

რუსიდამ, (ქართლი) 2 ივნისს. ჩვენი სოფელი ეტყობა ძველათვე პიოველი სოფელი ყოფილა, ყველაფრით შემკული; ეხლა დიდი სოფელია; მაგრამ ძალიან უპატრონოთ ვართ, ერთი მზრუნავი არავინა გვყავს, არავინ ცდილობს ჩვენთვის სასარგებლოს რასმეს, თუმცა ჩვენ მზათ ვართ ჩვენის მხრით.

არ ვიცი, რა დროებამ მოიველინა, ბატონო რედაქტორო: ჩვენ გლეხებშიაც რაღაც უპირულნი ხალხი შეიქნენ: ვინც ამოვარჩიეთ მამასახლისათ, ანუ სხვა თადანამდებობაზე, ყველამ თავის ჯიბისკენ დაიწყეს წაღება...

ბატონ-ყმობა რომ გადავარდა, მთავრობამ გვიბრძანა, რომ ყველამ სულზედ სამი ჩანახი პური შეიტანეთო მაღაზიაშიო და შეინახეთო საჭიროებისთვისაო. დიახ, ძრიელ მოსაწონი ბრძანება იყო. ჩვენც შეგვქონდა ყოველ წლივ. ამ სოფელში იქნება, როგორც მოგახსენებენ, სამასს კვალზედ მეტი გლეხი; თითო კომლზედ ორი სული ერთმანერთზედ იანგარიშეთ, აბა თქვენათ შეაყენეთ რა შედგებოდა დღევანდლამდინ. ვინც ისესხებდა, სარგებელსაც მისცემდა. მაგრამ წარმოიდგინეთ—ამ ჟამად ერთი მარცვალი არ გახლავთ ამ მაღაზიაში, სულ ჯიბეში ჩაიდეს, და ამის პატრონიც არავინ გვყავს, რომ მოსთხოვონ ანგარიში!

ვიხარიანთ კი, რომ წელს კარგი მოსავალი გვაქვსო, მაგრამ ამ მოსავალს სულ მოვალეები წაიღებენ... შარშან რომ ნაკლები მოსავალი გახლდათ, ჭირნახული ვისესხეთ სხვისაგან ერთი-ორათ, ჩვენ მაღაზიაში რომ აღარ გახლდათ.

რომ მოგახსენოთ—კეთილ-შობილები არ ცხოვრებენ ამ სოფელში, ვერ მოგახსენებთ; ბლომათ სდგანან, ამათ მაინც უნდა გვიპატრონონ, არავის დაგვაჩაგვრინონ; მაგრამ ესენიც არა გვპატრონობენ.

ჩვენ სოფელში დგას დიდი სობორო ძველათვე ქართველის ეკლესია. ამას ემსახურება ერთი ქერივი ღვდელი, წინათ დიდი ხანი იყო ბლაღოჩინათ და ამ ცოტა ხანში მისცეს დეკანოზობა.

ერთს დღეს წირვაზედ გახლავართ გლეხ-კაცები; წირვა რომ გამოვიდა, ამ ახალმა დეკანოზმა დაიწყო ქადაგობა ეკკლესიაში. ჩვენც მივახლოვდით, ყური დაგვეგდო, რადგან თავის დღეში არ უქადაგნია. ბევრნა—ეს ერთს სასარგებლოს იტყვის რასმეს. ჩვენს გაჭირვების ამბავზედ, ანუ ბანკზედ, რომელიც იმ დღეს იხსნებოდა ამ ჩვენს სოფელში. ამის მაგიერათ დაიწყო თავის თავზედ ქება—თუ მე ამისთანა ღვდელი ვიყავი, ამტენის ხნის სამსახურისთვინ მამცეს ეს დეკანოზობაო და გამოიტანა თავის დეკანოზობის ქალალდი; ამის შემდეგავო მეტი ღირსება და პატივი მეკუთვნისო თქვენგნითავო.

რუისელი

ნარევი

ამბობენ, რომ ერთს ოთხმოცის წლის მოხუცებულს ჩეხს ამას წინათ მეორე ცოლზე დაუწერია ჯვარი. ეს მოხუცებული თურმე რამდენიმე შვილის-შვილის-შვილის მამა, ბაბუა-ბაბა არისო. ამის ეს მეორე ცოლი კი ოცდა ათი წლისაო.

ამისთანა ამბებით ჩვენ ვერ გაგვაკვირვებენ: ამას წინათ ჩვენ შიდაც ამბობდნენ, რომ—ერთმა მოხუცებულმა, რომელმანც ამ ორი წლის წინათ თავის სამსახურის მეორმოცდაათე წელი იდღესასწაულა, ჩვიდმეტი წლის ახალგაზდაზე დაიწერა ჯვარიო.—ეს მესამეჯერ მდგარა მის თავზე თურმე საქორწილო გვირგვინი და მეოთხეჯერაც რომ მოინდომოს თუმც ჩვენი საეკლესიო და მგონი სამოქალაქო კანონიც ნებას არ აძლევს, მაგრამ ის რომ ოსმალელი იყოს და დღეს არტაანი რომ რუსებს არ დაეპრო, სულთანი მას უთუოთ იქ ფაშობას მისცემდა...

—

ამბობენ, რომ ინგლისში ერთს მოხუცებულს ედვარდ მორგანას თავის მე-ას-მეექვსე წელი უდღესასწაულებია. ეს მოხუცებული 1770 წ. 21 მაისს დაბადებულა და ლონდონში პირველად მას გაუმირთავს ეკიპაჟების სახელოსნო. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ მიუტოვებია მას თურმე თავის ხელით მუშაობა და უფრო მყუდრო და შეუშფოთებელ ცხოვრებას შესდგომია. ამ დღესასწაულზე მას გარდა მხლობელნი ნაცნობებისა, 67 შვილი, შვილის-შვილები და შვილი-შვილის-შვილები ჰყოლია მიპატიჟებული.

—

ამბობენ, რომ ამ დღეებში ოდესის ნავსადგურს, ძრიელ მოშორებით, ერთი „სამხედრო პარახოდი“ მისდგომია. რასაკვირველია, ამ სანახავს ქალაქის მცხოვრებლები ძრიელ შეუშინებია, რადგან ჰგონებიათ, რომ ოსმალოს ჯავშნიანი პარახოდი იქნებაო და სადაც არის ყუმბარებს დაგვიშენსო;—მაგრამ წარმოიდგინეთ ოდესელების გაკვირვება: იქაური ზღვის მხედრობა ბინოკლებით ათვალიერებს ამ გამბედავ პარახოდს და ბოლოს შენიშნავს, რომ ზედ მშვიდობიანობის მაჩვენებელი დროშა ჰქონიაო. ივ წამსვე გაგზავნიან ნავებით კაცებს, რომ შეეტყონ თუ რას მოასწავებს ამისთანა დროს ამ უცხო ქვეყნელი პარახოდის მოსვლა.—ბაგზავნილები დაბრუნდებიან შემდეგის ამბით: პარახოდზე ორს ინგლისელს ფეხები სტოლზე გაუწყვიათ, სიგარები პირში გაუჩრიათ და არხეინათ გაზეთს კითხულობენ.—„ჩვენ კითხვაზე მხოლოდ მოგვიგეს—მოგზაურები ვართო და ისევ გაზეთებს მიჰყვეს ხელი.

ქარგი, რომ შორს დამდგარან, თორემ ახლოს

მოსულიყვნენ, ტორპედების წყალობით, ზღვაზე კი არა, მგონი ჰაერშიაც იმგზავრებდნენ.

* * * **Ბამოჩენილი ჰაერში მფრინავი Იაკობ ჰაეროსტატით Ამერიკიდამ Ევროპაში გადმოფრენილა. Ბაზეთებში დაწვრილებით არის ეს შესანიშნავი მოგზაურობა აწერილი. 10 მაისს Იაკობ თავის რამდენიმე ამხანაგით აფრენილა შარით Ამერიკის ქალაქიდგან Ფილადელფიიდგან და მესამე დღეს 12-ს ჩამოფრენილა Ბრეტანში, Საფრანგეთში, ასე, რომ ის გზა, Ატლანტის Ოკეანი, რომლის გადასვლასაც ხომალდით 10 უნდებიან, დღეს ამათ ჰაეროსტატით 60 საათში გადაუვლიათ.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲠᲣᲡᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲜᲔᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲡᲢᲐᲢᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ.

Კავკასიის აქეთა მხრის საოსტატო სემინარიაში დაწესებულია, რომ იყვეს სამი პირველ-დასაწყისი შკოლა: რუსული, ქართული და სომხური. ქართული პირველი-დასაწყისი შკოლა გაიხსნა წარსულ სეკტემბერში, 1876 წელსა. Ბახსნა სხვა ორი შკოლისა—რუსულისა და სომხურისა—იქნება ამ წლის მომავალ სეკტემბერში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითო ამ ზემოხსენებულ შკოლებისათვის გამოცხადნენ მსურველნი უმაწვილნი არა ექვს—ექვსზედ ნაკლებ.

Სწავლა სუყველა საგნებისა, რაც რუსულს შკოლის კურსს ეკუთვნის, იქნება განსაკურებით რუსულს ენაზედ; მხოლოდ სომხურს შკოლაში დასაწყისი სწავლა იქნება სომხურს ენაზედ და ამ ენის თანაშემწეობით უმაწვილებს ასწავლიან რუსულ ენას, და მითი უმაწვილები მოემზადებიან შესასვლელად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და სხვათა შორის სემინარიის მოსამზადებელ კლასში.

Რადგანაც ქალაქს Ბორში სომხურს ენას სრულებით არ ხმარობენ და რადგანაც ამ ზემოხსენებულ სომხურ შკოლისათვის საჭიროა იმისთანა უმაწვილები, რომელთათვის სომხური ენა არის ბუნებითი ენა, ამის გამო გასაადვილებლათ სხა გარეშე ქალაქების მშობელთათვის, რომელნიც ისურვებენ გამოგზავნონ თვისი შვილები Ბორში, Სემინარიამ დააწესა, რომ მისცენ თითო მისთანა უმაწვილებს, რომელთათვის სომხური ენა იქნება ბუნებითი და რომელიც არ არიან აქაური ალაგობრივი მცხოვრებელნი, ყოველს წელს ოთხ-ოთხი თუმანი იმ ფულიდამ, რომელიც არის დანიშნული სემინარიის შტატით. Სემინარია აცნობებს სხვა გარეშე ქალაქების მცხოვრებთა, რომ ზემოხსებულის Სემინარიის შტატის ფულით შემწეობას მიიღებენ მხოლოდ ექვსი უმაწვილი სომხურის შკოლისა და არა ამაზედ მეტნი, რადგანაც დანაშთენი შტატით დანიშნული ფული უნდა დაეხმაროს შაგირებს სხვა ორ შკოლისა: რუსული და ქართულისას.

Ამის გამო მშობელთა, რომელთაცა სურთ მიაბარონ ზემოხსენებულს შკოლებში თავისი შვილები, უნდა პირველ აგვისტომდინ, და არა ამაზედ, გვიან გამოგზავნონ თხოვნა (არზა) Სემინარიის დირექტორის სახელზედ, რომელსაც უნდა ჰქონდეს ნამდვილი ცნობა მოსურნე უმაწვილების რიცხვისა ამ შკოლებში შემოსავლელათ, რადგანაც ზემოხსენებული სასწავლებლები გაისხება მხოლოდ მაშინ, როდესაც თითო შკოლაში იქნებიან, როგორც წინათ ესთქვით, არა ნაკლებ ექვს-ექვს შეგირდისა

Გარეშე ქალაქებში მცხოვრებელ მშობელთ, რომელთა უმაწვილები მიიღებენ ფულით შემწეობას, Სემინარია აცნობებს წიგნით და დაუნიშნავს დროს, როდესაც თავისი შვილები უნდა მოიყვანონ Ბორში.

Პირველ-დასაწყისს Სემინარიის შკოლებში მიიღებიან უმაწვილები ხანით $7\frac{1}{2}$ წლიდგან. Უმაწვილებს, რომელნიც გაათავებენ სწავლას ამ პირველ-დასაწყისს Სემინარიის შკოლებში, უფრო აკუთვნებენ სახელმწიფო სტიპენდიას Სემინარიის მოსამზადებელ კლასში, ვიდრე სხვა გარეშე მსურველთა.

Სემინარიის Დირექტორი **ს. ᲓᲘᲕᲐᲠᲘ**

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲠᲐ,

Კავკაზიის ცხენების მოშენების სამაზრო გამგებლობის წინადადებით, გამოიხმობს ამ მდგომარე თვის 11 რიცხვისათვის მსურველთ, რომელნიც იჯარით იკისრებენ დოლისათვის(скачка)საჭირო შენობის აგებას. Ამშენებლებს მიეცემათ უფლება: ისარგებლონ იმ მიწით, რომელიც შენობების შუაში (კრუგში) იქნება, გაკეთონ იქ ბუფეტი და აიღონ ფასი როგორც საზოგადოებისათვის დანიშნულის ადგილებისა, აგრეთვე ცხენების დასაყენებლად.

Ვაჭრობა მხოლოთ ერთხელ იქნება. Უფრო დაწვრილებული პირობების ნახვა შეიძლება ქალაქის Გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ. Ვაჭრობა ქალაქის რჩევისაგან იქნება დამტკიცებული.

(3—1)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
Ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
Უვირილა .	5	49			5	81	3	23
Რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
Ფოთი . . .	9	13						
Ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
Რიონი . .	12	13			3	4	1	69
Უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
Ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
Თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ.
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ქუთაისს, Ფოთს . .	1	—
Ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
Როსტოვს Ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
Ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) Თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და სამშ. Ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: Თფილისისა და Ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲜᲐ

	მან.	კაპ.
პეტერბურგი, 4 ივნისს		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი.	—	78
პარიჟში 268 სანტიმი.	—	81
ესკონტი(სარგებლისფასი)	$7\frac{1}{2}$	—
ბანკის ბილეთი 5%	95	—
მოგებიანი(პირველისესხი)	202	
მოგებიანი (მეორე ესესხი)	197	50
ბირაოს ფურცლები:		
Თფილ. საზს. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
Ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
Ფოთი-Თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
Კავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	ჯან	კაპ.
Თფილისი, 7 ივნისს		
ფქვ. თეთ. Ბანჯისა,ფუთ.	1	25
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა Ერევნისა, ფუთი .	5	80
—Ამერიკისა, ფუთი. .	7	—
Ბაპენტილი ბამბა ფუ.	7	70
მატყლი თუშური ფუ .	3	—
—Თარაქამისა ფუ. .	2	60
Აბრეშუმი ნუხური სტ.	5	50
ქონი, ფუთი. . .	6	20
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, გრადუში .	—	12
შაქარი, Ბროკ. ფუთი .	8	—
—ფხვნილი ფუთი . .	8	20
Უავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
Ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	7	75

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюня 1877 г. Типографія Меликова. Ბამოცემული ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედაქტორი ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.